

სმარტივის პრობები



შინაარსი

შესავალი	3
ტერმინთა განმარტებები	3
კლიენტის განცხადებები	4
სმარტივი ანგარიში და სმარტივი ბარათი	4
ვებ-გვერდი სმარტივი	5
eMoney ანგარიში და eMoney ბარათი	5
eMoney ელექტრონული ანგარიში	7
ელექტრონული არხებით მომსახურება	7
სმარტივი კონსიერჟი	8
სმარტივი ანგარიშიდან ავტომატური გადახდები	8
SMS შეხსენება	8
@smartivi.ge ელექტრონული საფოსტო მომსახურება	8
სმარტივი მომსახურების ტარიფები და პირობები	9
სმარტივი ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა	10
პასუხისმგებლობა	10
ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა	10
კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია	10
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	10
ფორს-მაჟორი	11
დასკვნითი დებულებები	11
დანართი #1 - მომსახურების პირობები და ტარიფები	12
დანართი #2 - პარტნიორი ორგანიზაციისთვის ბრენდირებული სმარტივი ბარათების მომსახურების პირობები და ტარიფები	14

1. შესავალი

- 1.1 წინამდებარე პირობები (შემდგომში - პირობები) განსაზღვრავს Sმარტივის მიღებისა და სარგებლობის პირობებს და არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს www.smartivi.ge ვებ-გვერდით სარგებლობისას.
- 1.2 კლიენტი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე პირობებს, სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს განაცხადს, რითაც იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს წინამდებარე პირობებს და ეთანხმება მათ.
- 1.3 კლიენტის მიერ განაცხადზე ხელმოწერა ან/და ელექტრონულად განაცხადის შევსება და შესაბამისად წინამდებარე პირობებზე თანხმობის განცხადება წარმოადგენს ბანკთან წინამდებარე პირობებით ხელშეკრულების გაფორმებას.
- 1.4 ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულება შედგება:
 - 1.4.1 კლიენტის მიერ ბანკის ფილიალში, სერვის-ცენტრში ან/და ვებ-გვერდის საშუალებით შევსებული განაცხადისგან;
 - 1.4.2 წინამდებარე პირობებისგან;
 - 1.4.3 მომსახურების ტარიფებისა და პირობებისგან, რომელიც დანართ(ებ)ის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს.
 - 1.4.4 eMoney ელექტრონული ანგარიშის მომსახურების პირობებისგან; და
 - 1.4.5 წინამდებარე პირობების ნებისმიერი სხვა დანართისგან ან/და განაცხად(ებ)ისგან (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში).

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1 Sმარტივი ან Sმარტივი ანგარიში - ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ვალ-ვალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიმზღულია ერთ ან რამდენიმე ბარათზე.
- 2.2 კლიენტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს Sმარტივი საბანკო პროდუქტით და ვებ-გვერდით.
- 2.3 Sმარტივი ანგარიშის ძირითადი ვალუტა - მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;
- 2.4 ბარათის მფლობელი - კლიენტი ან/და ბარათით მისარგებლე ნებისმიერი იდენტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელსაც გადაეცემა ბარათი წინამდებარე პირობების ან/და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.
- 2.5 ბანკი - სს ლიბერთი ბანკი, რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ოლიცენზია № 011027, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის 74;
- 2.6 ბრენდირებული Sმარტივი ბარათი - ბანკის მიერ პარტნიორი ორგანიზაციის კლიენტებისათვის ემიტირებული Sმარტივი ბარათი, რომელზეც ვრცელდება #2 დანართით განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების პირობები და ტარიფები;
- 2.7 გახარჯვის სქემა - Sმარტივი ანგარიშიდან თანხის გახარჯვის სქემა, მოიცავს ორ ოფციას: (ა) ნაშთის პრიორიტეტი - თუ ოპერაციის შესრულებისთვის კლიენტს შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო Sმარტივი ანგარიშის შემავალი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცია(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეროვება. თანხის შეროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ბ) ოვერდრაფტის პრიორიტეტი - თუ ოპერაციის შესრულებისთვის კლიენტს შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო Sმარტივი ანგარიშის შემავალი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი ხელისაწვდომი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცია(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეროვება, ხელისაწვდომი ნაშთების გათვალისწინებით. თანხის შეროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ოპერაციის ვალუტაში კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, ოპერაციის თანხა ჩამოიჭრება ან სხვა ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთებიდან (ნაშთების პრიორიტეტი) ან ოპერაციის ვალუტაში არსებული ოვერდრაფტიდან (ოვერდრაფტის პრიორიტეტი) კლიენტის არჩევანის შესაბამისად. პრიორიტეტი ფიქსირდება განაცხადში);
- 2.8 მხარე - ბანკი ან ბარათის მფლობელი.
- 2.9 მხარეები - ბანკი და ბარათის მფლობელი.
- 2.10 Sმარტივი ბარათი ან ბარათი - ბანკის მიერ ემიტირებული საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლითაც ხორციელდება Sმარტივი ანგარიშიდან თანხის გახარჯვა. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს და შეცვალოს Sმარტივი ბარათის სახეები და თითოეულის მომსახურების პირობები.
- 2.11 eMoney - შპს "ახალი ფინანსური ტექნოლოგიები აფტ" (ს/კ 202376026) და შპს "იმანი" (ს/კ 204557540) ერთობლივად, რომლებიც ახორციელებენ eMoney ელექტრონული ანგარიშის მომსახურებას;
- 2.12 eMoney ელექტრონული ანგარიში ან/და eMoney ანგარიში - ფიზიკური პირის ელექტრონული ანგარიში - Sმარტივი ანგარიშის ქვეანგარიში, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებულ ელექტრონულ ანგარიშს და მისი მოხმარების წესი რეგულირდება eMoney ანგარიშის მომსახურების პირობებით;

- 2.13 eMoney ბარათის ანგარიში - ფიზიკური პირის მონოვალუტური ანგარიში - Sმარტივი ანგარიშის ქვეანგარიში, რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით დაკავშირებულია eMoney ბარათთან.
- 2.14 eMoney ბარათი - ბანკის მიერ ემიტირებული ვირტუალური ან/და დაბეჭდილი პერსონიფიცირებული საგადახდო ბარათი, რომელსაც კლიენტი იყენებს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით.
- 2.15 ვალუტების პრიორიტეტულობა - ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც ბანკი (გახარჯვის სქემის გათვალისწინებით) მოახდენს კლიენტის მულტისავალუტო Sმარტივი ანგარიშის ქვე-ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერას შესაბამისი ოპერაციის განახორციელებლად;
- 2.16 ვირტუალური ბარათი - მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს წინამდებარე პირობების საფუძველზე ბანკის მიერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით.
- 2.17 თანხის გადახარჯვა (ოვერლიმიტი) - კლიენტის ანგარიშში შემავალ ერთ ან რამდენიმე ანგარიშზე წარმოშობილი სადებეტო ნაშთ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- 2.18 დამატებითი ბარათი - eMoney ბარათი, რომელსაც ბანკი გასცემს კლიენტზე ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე (დამატებითი ბარათის მფლობელი); დამატებითი ბარათი დაკავშირებულია კლიენტის
- 2.19 განაცხადი - კლიენტის მიერ წინასწარ დადგენილი სპეციალური ფორმით შევსებული Sმარტივით სარგებლობის მოთხოვნა, ან ვებ-გვერდის საშუალებით შევსებული განაცხადი, რომელზეც შესაბამისად ხელმოწერით ან ელექტრონული თანხმობით კლიენტი იმავდროულად აცხადებს თანხმობას წინამდებარე პირობებზე.
- 2.20 პარტნიორი ორგანიზაცია - პირი რომელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი ახორციელებს ბრენდირებული Sმარტივი ბარათების ემისიას;
- 2.21 პროვადერ(ებ)ი - კომუნალური, სატელეკომუნიკაციო და სხვა სახის მომსახურების მოწოდებელი და სხვა ნებოყოფლობითი ან/და სავალდებულო გადასახადების მიმღები პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ბანკთან და რომელთა წესსაც (რომელიც დანართის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს) პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 2.22 კალათ(ებ)ი - კლიენტის მიერ Sმარტივით სარგებლობის მიზნებისთვის შერჩეული პროვაიდერების ერთი ან რამდენიმე ჯგუფი, რომელიც კლიენტის შეხედულებისამებრ შესაძლებელია პერიოდულად შეიცვალოს.
- 2.23 Sმარტივი სახელი - კლიენტის მობილური ტელეფონის 8 (რვა) ან 9 (ცხრა) ციფრისაგან შემდგარი ნომერი, კლიენტის სურვილის მიხედვით შერჩეული ლათინური ანბანის სიმბოლოებისგან შემდგარი სახელი ან/და ნომერი ან/და მათი ერთობლიობა ან ბანკის მიერ წინასწარ, ერთპიროვნულად განსაზღვრული ანბანის სიმბოლოები ან ციფრები ან/და მათი ერთობლიობა. ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას კლიენტს გარკვეული კონკრეტული სახელის გამოყენებაზე ან ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამართვას კლიენტს უკვე არსებული სახელი.
- 2.24 ვებ-გვერდი Sმარტივი ან ვებ-გვერდი - ვებ-გვერდი www.smartivi.ge, რომლის საშუალებითაც (i) ბარათის მფლობელს აქვს შესაძლებლობა გადაინახოს პროვაიდერ(ებ)ის გადასახად(ებ)ი, შეავსოს Sმარტივი ანგარიში ან/და მართოს კალათ(ებ)ი და რომლითაც (ii) ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს პროვაიდერ(ებ)ის გადასახად(ებ)ის გადახდა.
- 2.25 P2P - ერთი Sმარტივიდან მეორე Sმარტივზე ან/და ბანკის მიერ ემიტირებულ სხვა საბანკო პლასტიკურ ბარათზე თანხის საქართველოს ტერიტორიაზე გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის, ვებ-გვერდის ან/და სხვა ელექტრონული არხ(ებ)ის მეშვეობით.
- 2.26 საგადახდო დავალება - ფიქური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული მობილური ტელეფონის საშუალებით კლიენტის მიერ SMS, USSD MENU-ს და/ან Sმარტივი აპლიკაციის საშუალებით ბანკისთვის ელექტრონულად მიცემული საგადახდო დავალება.
- 2.27 Sმარტივი აპლიკაცია ან/და მობილური აპლიკაცია - ბანკის ელექტრონული პროგრამა, რომლის მობილურ ტელეფონში ინსტალაციის შემდეგ კლიენტს საშუალება მიეცემა მისი მეშვეობით განახორციელოს Sმარტივი გადარიცხვები.
- 2.28 მიმღები - პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდა.
- 2.29 SMS შეტყობინება ან/და SMS - კლიენტის, ბანკის ან/და სხვა მესამე პირის მიერ ინიცირებული მოკლე ტექსტური შეტყობინება.
- 2.30 ტრანზაქცია - ავტორიზაციის და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს Sმარტივით ნებადართული ოპერაციების განხორციელებას ბანკის ფილიალების/სერვის-ცენტრების, Sმარტივი ბარათის ან/და ბანკის ელექტრონული არხების გამოყენებით, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ფიქური კავშირგაბმულობის მომსახურების გამოყენებით - SMS შეტყობინების, USSD MENU-ს ან/და ნებისმიერ სხვა ელექტრონულ არხზე არსებული Sმარტივი აპლიკაციის საშუალებით.



- 2.31 USSD მენიუ - ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც კლიენტი უფლებამოსილია მიმდინარე ტელეფონით დააგენერიროს საგადახდო დავალებები.
- 2.32 მიმდინარე ტელეფონი ან ტელეფონი - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი.
- 2.33 ჩარჯბეჭეტი - კლიენტის მოთხოვნით მის შესაბამის სმარტზე ანგარიშზე ბანკის მიერ ე-ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაციის ინიცირება, რომლებიც ჩამოწერილია კლიენტის სმარტზე ანგარიშიდან ტრანზაქციების თანხ(ებ)ის გადახდის შედეგად.
- 2.34 გაუქმების ოპერაცია - კლიენტის ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაცია, როდესაც პროვაიდერ(ებ)ს არ შეუძლია(თ) კლიენტის მიერ გადასახადის მიღება ან/და პროვაიდერ(ებ)ის მიერ ოპერაცია განხორციელდა შეცდომით.

3. კლიენტის განცხადებები

- 3.1 კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
 - 3.1.1 კლიენტს აქვს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების და მის მიერ გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა ვალდებულების შესრულების უფლება;
 - 3.1.2 კლიენტის მიერ ბანკისთვის განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;
 - 3.1.3 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ოპერაციების შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებების პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებები (ასეთების არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;
 - 3.1.4 კლიენტი არ მონაწილეობს ან მას არ ეშუქება ისეთი სასამართლო პროცესი, რომლის შედეგადაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობას ან საქმიანობაზე;
 - 3.1.5 კლიენტი არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმს ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).
- 3.2 აღნიშნული განცხადებები ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.
- 3.3 კლიენტი ყველაწარმოებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.
- 3.4 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.
- 3.5 აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება ბანკის უფლება მოითხოვოს ზიანის ანზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ კლიენტი ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, კლიენტი თანახმაა ბანკს აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

4. სმარტზე ანგარიში და სმარტზე ბარათი

- 4.1. სმარტზე ანგარიში არის ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვანაწილი, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათ-საპროცესინგის სისტემის მეშვეობით დაკავშირებულია ერთ ძირითად სმარტზე ბარათთან.
- 4.2. სმარტზე ანგარიში კლიენტს გაეხსნება განაცხადის შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.
- 4.3. კლიენტს უფლება აქვს:
 - 4.3.1 ბანკის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე სმარტზე ანგარიში;
 - 4.3.2 მისცეს ბანკს დავალებები სმარტზე ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად კანონმდებლობით და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
 - 4.3.3 განაცხადით განსაზღვროს სმარტზე ანგარიშის ძირითადი ვალუტა, ვალუტების პროორიტეტი და გახარჯვის სქემა;
 - 4.3.4 შეცვალოს სმარტზე ანგარიშის ძირითადი ვალუტა, ვალუტების პროორიტეტი ან გახარჯვის სქემა, რისთვისაც ბანკს გადაუხდის შესაბამის საკომისიოს. სმარტზე ანგარიშის ძირითადი ვალუტა შესაძლოა განისაზღვროს

- შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი და ევრო, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით;
- 4.3.5 წაუყენოს ბანკს პრეტენზიები ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერი არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად კლიენტის მიერ;
- 4.3.6 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ბანკისთვის წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით;
- 4.4. კლიენტი ვალდებულია:
 - 4.4.1. სმარტზე ანგარიშზე ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მოთხოვნით გადაუხადოს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე გათვლით;
 - 4.4.2. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს;
 - 4.4.3. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;
 - 4.4.4. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- 4.5. ბანკს უფლება აქვს:
 - 4.5.1. დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;
 - 4.5.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დაბლოკოს ანგარიში;
 - 4.5.3. გადაახდევინოს კლიენტს ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის;
 - 4.5.4. კლიენტის სმარტზე ანგარიშიდან ბანკში მოქმედი პირობების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები და შეცდომით ჩარიცხული თანხები;
 - 4.5.5. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;
- 4.6. ბანკი ვალდებულია:
 - 4.6.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა;
 - 4.6.2. ჩამოწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშე, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან მათი კრედიტების ანგარიშზე გადასარიცხად;
 - 4.6.3. მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული;
 - 4.6.4. კლიენტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.
- 4.7. ბარათის მიღება
 - 4.7.1. ბარათის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი.
 - 4.7.2. ბანკი კლიენტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე და მის შესაბამისად ამზადებს ბარათს და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
 - 4.7.3. თუ კლიენტი ბარათის დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს ბანკს ბარათის მისაღებად ან/და არ გადაიხდის ბარათის დამზადების საფასურს, ბანკი უფლებამოსილი იქნება გააუქმოს ბარათი. ასეთ შემთხვევაში კლიენტს სმარტზე ბარათის დამზადების საკომისიო (ასეთის არსებობისას) არ უბრუნდება, ხოლო ამგვარი ბარათის სმარტზე სახელი უქმდება.
 - 4.7.4. სმარტზე ბარათი არის უნიკალური და დაუშვებელია კლიენტს დაუშვადდეს ერთი და იგივე სახელის/ნომრის/მობილური ტელეფონის ნომრის მქონე ორი ან მეტი ბარათი.
- 4.8. კლიენტის იდენტიფიკაცია
 - 4.8.1. სმარტზე ბარათის მიღებისას კლიენტს სავალდებულო წესით მოეთხოვება საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, მიუხედავად ბარათის შეკვეთის ან/და მიღების არხისა.
 - 4.8.2. კლიენტმა დამატებითი იდენტიფიკაცია უნდა გაიაროს სმარტზე განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომრზე მიღებული მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში აღნიშნული კოდის მეშვეობით.
 - 4.8.3. სმარტზე ბარათის მიღებისას მოკლე ტექსტური შეტყობინებით კლიენტის დამატებითი იდენტიფიკაცია არ მოეთხოვება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს პენსიონერს.
- 4.9. ნებადართული ოპერაციები და ბარათით სარგებლობა.

4.9.1. კლიენტის უფლებამოსილია სმარტივით განახორციელოს შემდეგი ოპერაციები:

4.9.1.1. სმარტივზე თანხის შეტანა როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით, ბანკის მიერ განსაზღვრული საგადახდო ან/და სხვა დისტანციური არხების საშუალებით;

4.9.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის ან/და ბანკის ფილიალების/სერვის-ცენტრების მეშვეობით;

4.9.1.3. საქონლის ან/და მომსახურების შექმნა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, ინტერნეტით და სხვა დისტანციური არხების მეშვეობით;

4.9.1.4. ბანკის ფილიალებში, სერვის-ცენტრებში, ბანკომატებში, ვებ-გვერდი სმარტივით, სწრაფი გადახდის ტერმინალებს და ბანკის მიერ აწვობილი სხვა არხების და ინსტრუმენტების საშუალებით სმარტივი ანგარიშზე თანხის ბალანსის შემოწმება;

4.9.1.5. პროვაიდერებისთვის გადახდების წარმოება;

4.9.1.6. P2P გადარიცხვების მეშვეობით თანხის გადარიცხვა და ჩარიცხვა სხვა სმარტივზე ან/და ბანკის მიერ ემიტირებულ სხვა პლასტიკურ ბარათზე, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს P2P გადარიცხვების შესრულებას ბანკის ელექტრონული არხების საშუალებით; და

4.9.1.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებადართული ოპერაციები.

4.9.2. მხოლოდ სმარტივი სახელის გამოყენებით, პირი უფლებამოსილია ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებში განახორციელოს წინამდებარე პირობების 4.3.1 (i) და (v) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციები.

4.9.3. ბარათის გამოყენება რეგულარულად წინამდებარე პირობების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.9.4. პროვაიდერების ჩამონათვალი, რომელთა მომსახურების გადახდაც შესაძლებელია სმარტივის საშუალებით და ასევე სავაჭრო-მომსახურების ობიექტების წესსა, სადაც შესაძლებელია სმარტივი ბარათის გამოყენება, კლიენტს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით.

4.9.5. ბანკი უფლებამოსილია ბარათის მფლობელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეიტანოს ცვლილება პროვაიდერების ჩამონათვალში, რაც ბარათის მფლობელს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის ბანკის ვებ გვერდის საშუალებით.

4.9.6. ბარათზე არსებული თანხის გამოყენება ბარათის მფლობელს შეუძლია როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ, თანხის სრულ ამოწურვამდე. კლიენტის მიერ სმარტივით ტრანზაქციის ინიცირების შემდეგ, ბანკი კლიენტის შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე უფლებამოსილია დაბლოკოს კლიენტის სმარტივი ანგარიში ტრანზაქციის (ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით არაუმეტეს ერთი თვის ვადით.

4.9.7. ბანკის მიერ სმარტივი ანგარიშზე ტრანზაქციის (ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით ბლოკის მოხსნა მოხდება ბანკის მიერ სმარტივი ანგარიშის დაბლოკვიდან ერთ თვეში ან პროვაიდერ(ებ)ის ან/და კლიენტის მიერ ტრანზაქციის (ებ)ის ინიცირების შედეგად თანხ(ებ)ის მიმღები ნებისმიერი სხვა პირის მიერ ბანკისათვის შესაბამისი ტრანზაქციის (ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით ბლოკის მოხსნაზე შეტყობინების შემდგომ.

4.10. ბარათის სხვა პირ(ებ)ისთვის გადაცემა.

4.10.1. მესამე პირის მიერ სმარტივი ბარათით სარგებლობისას (საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ შემთხვევებში), ბარათის მფლობელს უფლება ექნება განახორციელოს მხოლოდ ქვემოთჩამოთვლილი ოპერაციები:

4.10.1.1. კლიენტის კალათაში დარეგისტრირებული პროვაიდერ(ებ)ის გადასახად(ებ)ის გადახდა; ან/და

4.10.1.2. საკუთარი სახსრებით სმარტივზე თანხის შეტანა ბანკის ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების, სწრაფი გადახდის ტერმინალების და სხვა ელექტრონული არხების საშუალებით;

4.10.2 კლიენტის მიერ სხვა პირისთვის ბარათის გადაცემის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სრულად გააცნოს ბარათის ახალ მფლობელს ბარათით სარგებლობის წესები და წინამდებარე პირობები.

4.10.3 კლიენტი პასუხისმგებელია მესამე პირისთვის ბარათის გადაცემის შემთხვევაში ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციასა და ბანკის მიმართ წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოშობილ ყოველგვარ უფლებებზე და ვალდებულებებზე.

4.11. სმარტივი ანგარიშის გამოყენების შეზღუდვები და ლიმიტები.

4.11.1. სმარტივზე თანხის შეტანა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.11.2. სმარტივი ანგარიშზე თანხის ნაღდი სახით შეტანა შესაძლებელია შემდეგი არხების გამოყენებით:

4.11.2.1. ბანკის ფილიალები და სერვის-ცენტრები;

4.11.2.2. სწრაფი მომსახურების ტერმინალები;

4.11.2.3. ბანკის მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული სხვა საშუალებები და არხები.

4.11.3. სმარტივი ანგარიშზე თანხის უნაღდო ანგარიშსწორების წესით შეტანა შესაძლებელია შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

4.11.3.1. ვებ-გვერდი - www.smartivi.ge;

4.11.3.2. ბანკის ბანკომატები;

4.11.3.3. ბანკის ან სხვა ბანკების ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან/და სხვა ბანკ(ებ)ის ან მესამე პირ(ებ)ის მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული არხების საშუალებები;

4.11.3.4. P2P გადარიცხვები ბანკის მიერ ემიტირებული ნებისმიერი საბანკო პლასტიკური ბარათიდან;

4.11.3.5. ბანკის მიერ განვითარებული ბალანსის ავტომატური შევსების მომსახურებით.

4.11.4. ბარათით ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მასზე არსებული თანხის ლიმიტის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია სმარტივის მომსახურების ტარიფებით და პირობებით და დანართის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს.

4.12. კალათ(ებ)ი

4.12.1. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის ფილიალის, სერვის ცენტრის ან/და ვებ-გვერდის საშუალებით შექმნას და მართოს მისთვის სასურველი კალათ(ებ)ი და განსაზღვროს მათში შემავალი (შესაბამისი დროისთვის არსებული) პროვაიდერები.

4.12.2. თითოეულ კალათში შემავალი პროვაიდერების რაოდენობა და მათი რედაქტირების პირობები განსაზღვრულია სმარტივი მომსახურების ტარიფებით და პირობებით, რომელიც დანართის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს. ბანკს ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია შეცვალოს პროვაიდერების რაოდენობის შეზღუდვა და პირობები სმარტივისათვის, რის შესახებაც კლიენტს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით.

4.12.3. კლიენტს სმარტივის მომსახურების ტარიფებით და პირობებით გათვალისწინებული კალათის მომსახურების საკომისიოს ზედიხედ 2 (ორი) თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში დარიცხული საკომისიოს დავალიანების სრულ დაფარვამდე შეუწყვეტა პროვაიდერ(ებ)ის გადასახად(ებ)ის კალათ(ებ)ით გადახდის უფლებამოსილება.

4.13. ბარათის შეცვლა, დაკარგვა, გაუქმება.

4.13.1. კლიენტი ვალდებულია საკუთარი სახსრების დაცვის მიზნით დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ბარათის დაკარგვის შესახებ. კლიენტისგან ბარათის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) საათის განმავლობაში ბანკი ვალდებულია ადგილობრივად დაბლოკოს საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოყენება. ბანკი პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს ბარათის არასანქცირებული გამოყენებით.

4.13.2. დაზიანებული ან/და დაკარგული ბარათის აღდგენა განხორციელდება კლიენტის მიერ ბანკის ფილიალებში ან სერვის-ცენტრში შესაბამისი განაცხადის შეტანის შემდეგ მომსახურების ტარიფების და პირობების შესაბამისად.

4.13.3. ბარათზე მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ბარათი და კლიენტს დაუბრუნოს სმარტივი ანგარიშზე რიცხული ნაშთი ბარათის ვადის გასვლიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში, ხოლო ბარათის გაუქმებიდან სმარტივი ანგარიშზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში დადებითი ნაშთის და ბრუნვის არარსებობის შემთხვევაში დაბლოკული სმარტივი ანგარიში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე.

4.13.4. ბარათის მოქმედების ვადის გასვლისას, კლიენტის მიერ ბანკის მიმართ სმარტივის მომსახურების საკომისიოს დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტისთვის ახალი ბარათის დამზადებაზე.

4.13.5. ბანკს ნებისმიერ დროს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს კლიენტს ბარათის აღდგენაზე ან/და გაცემაზე.

4.14. სმარტივი ანგარიშის დახურვა

4.14.1. თუ ბანკი თვლის, რომ კლიენტმა ანგარიში უნდა დახუროს, კლიენტს გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კლიენტს მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ კლიენტი არ დახურავს ანგარიშს, ბანკს უფლება აქვს აუცილებლად გადახდებულ ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აღიარებულია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი.

5. ვებ-გვერდი სმარტივი

5.1. ვებ-გვერდი სმარტივის საშუალებით კლიენტს შესაძლებელია აქვს აწარმოოს ყოველგვარი გადახდები პროვაიდერებთან.

5.2. პროვაიდერებთან გადახდების წარმოება კლიენტს შეუძლია როგორც ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლით, ასევე რეგისტრაციის გარეშე.

5.3. ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გასავლელად კლიენტი ვალდებულია შეავსოს ელექტრონული განაცხადი და მიუთითოს ბანკის ფილიალი ან სერვის-ცენტრი, რომელშიც მას (კლიენტს) სურს ბარათის მიღება.

5.4. ბარათის ვებ-გვერდის საშუალებით შევსების შემთხვევაში, კლიენტს ბარათი გადაეცემა ბანკის იმ ფილიალში/სერვის-ცენტრში, რომელიც კლიენტმა მიუთითა ვებ-გვერდის გამოყენებით განაცხადის შევსებისას. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.

5.5. კლიენტის მიერ, ვებ-გვერდზე სმარტივი სახელის შერჩევიდან, 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღებული კოდის მეშვეობით რეგისტრაციის დაუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტის მიერ არჩეული სმარტივი სახელი გაუქმდება და კლიენტი ვალდებული იქნება თავიდან აირჩიოს სასურველი სმარტივი სახელი.

6. eMoney ანგარიში და eMoney ბარათი

6.1. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის ტერმინი "ბარათი" განიშარტება, როგორც "eMoney ბარათი".



6.2. eMoney ანგარიში არის ფიზიკური პირის მონოვალუტური ანგარიში, რომელიც საბარათო-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით დაკავშირებულია ერთ პირთან eMoney ბარათთან.

6.3. eMoney ანგარიში გაეხსნება კლიენტს განაცხადის შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

6.4. კლიენტს უფლება აქვს:

6.4.1. ბანკის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე eMoney ბარათის ანგარიში;

6.4.2. მისცეს ბანკს დავალებები eMoney ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

6.4.3. წაუყენოს ბანკს პრეტენზიები კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. აღნიშნულ ვადაში კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება გადასტურებულად კლიენტის მიერ;

6.4.4. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

6.5. კლიენტი ვალდებულია:

6.4.1. eMoney ანგარიშზე ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მოთხოვნით გადაუხადოს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე გათვლილი.

6.4.2. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს;

6.4.3. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

6.4.4. გადაუხადოს ბანკს ანგარიშზე ოვერლიმიტის სრული თანხა და საკომისიო ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

6.4.5. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი eMoney ანგარიშის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

6.6. ბანკს უფლება აქვს:

6.6.1. დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით.

6.6.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დაბლოკოს ანგარიში.

6.6.3. გადახდევინოს კლიენტს ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის.

6.6.4. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, ასევე, პაკეტის ღირებულება და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები და შეცდომით ჩარიცხული თანხები.

6.6.5. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია.

6.7. ბანკი ვალდებულია:

6.7.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.

6.7.2. ჩამოაწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშე, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადასარიცხად.

6.7.3. მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული.

6.7.4. კლიენტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

6.8. eMoney ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები:

6.8.1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც კლიენტი ბანკს მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან ბანკისთვის მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტის დავალებები წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, კლიენტის მიერ არ არის ხელმოწერილი, ბანკს აქვს უფლება მიიღოს და განხორციელოს ისინი, თუ დაცულია ბანკში დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა.

6.8.2. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ.

6.8.3. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკმა შეიძლება არ მიიღოს eMoney ანგარიშზე შენატანი და შესაძლოა მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის დახურვა.

6.9. eMoney ბარათი წარმოადგენს ვირტუალური ან დაბეჭდილი სახით VISA ტიპის ბარათს, რომელიც საშუალებას აძლევს ბარათის მფლობელს განხორციელოს წინამდებარე პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ოპერაციები.

6.10. eMoney ბარათის გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და ბანკსა და საერთაშორისო საგადახდელო სისტემებს VISA International და MasterCard Europe-ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

6.11. eMoney ბარათ(ებ)ს ბანკი აშუადებს კლიენტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ PIN-წვდომის კოდთან ერთად) ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.

6.12. კლიენტს შეუძლია ბანკისგან მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის და მათი შესაბამისი წვდომის კოდების გაცემა. დამატებითი ბარათის გაცემაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს აღნიშნული პირობები. ამასთან, კლიენტი ვალდებულია, გადაიხადოს დამატებითი ბარათის და წვდომის კოდების გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული ოპერაციის ხარჯები მოიცავს ანგარიშიდან ჩამოწერილ თანხებს დამატებითი ბარათის ბანკისთვის დაბრუნების შემდეგ.

6.13. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალურ ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათ(ებ)ის სათანადო გამოყენებისთვის.

6.14. ბარათი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ უფლებამოსილმა მფლობელმა. ნებისმიერი წვდომის კოდ(ებ)ის გადაცემა მესამე პირ(ებ)ისთვის დაუშვებელია.

6.15. ანგარიშზე რიცხვითი თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

6.16. თუ ელექტრონული წვდომის კოდ(ებ)ით განხორციელებული ოპერაციების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, საბანკო ოპერაცია განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

6.17. თუ უფლებამოსილი მფლობელი ბარათის დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს ბანკს ბარათის მისაღებად, ბარათი უქმდება. კლიენტს ბარათის მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

6.18. eMoney ბარათის ვადის ამოწურვის შემთხვევაში ბარათი გაუქმდება.

6.19. ვირტუალური და დაბეჭდილი ბარათის მოქმედების ვადებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დაბეჭდილი ბარათის მოქმედების ვადას.

6.20. კლიენტს უფლება აქვს:

6.20.1. ბარათით ჩაატაროს ოპერაციები მასზე არსებული ნაშთის ფარგლებში.

6.20.2. წერილობით შეატყობინოს ბანკს ბარათის ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი ბარათის დამზადება.

6.21. ბანკს უფლება აქვს:

6.21.1. აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი ბარათით.

6.21.2. დაბლოკოს ბანკში არსებული კლიენტის სხვა ანგარიშები და მათზე რიცხვითი თანხები მიმართოს ოვერლიმიტის დასაფარავად წინასწარ შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ.

6.21.3. გაუზღავოს უფლებამოსილი მფლობელს შეტყობინება ბანკისათვის ბარათის დაბრუნების მოთხოვნით, თუ ოპერაციების ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბარათი გამოიყენება უკანონო ქმედებისთვის;

6.21.4. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტს ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) ბარათის დაკარგვიდან ბანკში შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში ბარათით ჩატარებული ოპერაციების ექვივალენტი სახსრები;

6.21.5. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები ბანკისადმი კლიენტის დავალიანების ამოსაღებად;

6.21.6. შეაჩეროს ბარათის მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA International-ისა და MasterCard Europe-ის საგადახდელო სისტემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების შესახებ დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

6.21.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს კლიენტს ბარათ(ებ)ის გაცემასა და/ან აღდგენაზე;

6.21.8. ანგარიშიდან ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, ბარათ(ებ)ის დაკარგვის შემთხვევაში გაწეული დანახარჯები, ოვერლიმიტით სარგებლობის საფასური, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები;

6.21.9. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტზე გაცემული ყველა ბარათით/დამატებითი ბარათით ჩატარებული, აგრეთვე საგადახდელო სისტემას VISA International-ისა და VISA Europe-ის გავლით ბანკისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ექვივალენტი სახსრები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.

- 6.22. კლიენტი იღებს ვალდებულებას:
 - 6.22.1. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი.
 - 6.22.2. შეინახოს ბარათის გამოყენებით წარმოებულ ოპერაციებზე არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი ბანკს სადავო საკითხების წარმოშობისას.
 - 6.22.3. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს ბარათის მემუნიტის განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საჭიროების შემთხვევაში 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით გააპროტესტოს ამ ოპერაციების შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში ბანკისათვის პრეტენზიის წერილობით განუხებადობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება.
 - 6.22.4. ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს წერილობით და დამოწმდეს კლიენტის ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიაღწეს კლიენტს (წერილობითი შეტყობინება ბანკში უნდა შევიდეს ზეპირი განაცხადებიდან ერთი საბანკო დღის განმავლობაში. წერილობითი შეტყობინება შეიძლება ჩაითვალოს ფაქტით მიღებული შეტყობინება). შეტყობინების მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, ბანკის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ განაცხადის მიღებამდე მესამე პირ(ებ)ის მიერ ბარათით წარმოებულ ყველა ოპერაციაზე პასუხს აგებს კლიენტი ან/და გარემოებებიდან გამომდინარე დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი.
 - 6.22.5. დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის ბანკს.
 - 6.22.6. ბანკის მიერ ბარათის ვადის ამოწურვის, გაუქმების ან ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში დაბრუნის ბარათი შეტყობინებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
 - 6.22.7. ბარათით შექმნილი საკონოს უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს სავაჭრო წერილიდან შექმნილი საკონოს ღირებულება ნაღდი ფულის სახით. ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამის eMoney ანგარიშზე.
 - 6.22.8. ჩაატაროს ბარათით ოპერაციები მოცემული პირობების შესაბამისად.
 - 6.22.9. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათ(ებ)ის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში ანაზღაურდეს ბარათ(ებ)ის დაკარგვისთან დაკავშირებული დანახარჯები.
 - 6.23. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
 - 6.23.1. ბარათის დაკარგვის შესახებ წერილობითი განაცხადის მიღებამდე და სტაპ სიაში მოთავსების მიზნით კლიენტის მიერ საკომისიოს გადახდამდე ბარათით განხორციელებულ უკანონო ოპერაციაზე;
 - 6.23.2. ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ოპერაციაზე;
 - 6.23.3. ცრუ შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე;
 - 6.23.4. ბარათის მოქმედების შეჩერებაზე;
 - 6.23.5. ბარათის მფლობელსა და P2P მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე;
 - 6.23.6. დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;
 - 6.23.7. ბარათის მემუნიტით ჩატარებული ოპერაციის კანონიერებაზე;
 - 6.23.8. ბანკი არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ ბარათის დაკარგვისას უფლებამოსილი მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის ინფორმირების წესები.
 - 6.24. კლიენტი პასუხისმგებელია:
 - 6.24.1. ბარათის მემუნიტით ჩატარებული ყველა არაკანონიერი ოპერაციისათვის;
 - 6.24.2. დამატებითი ბარათით სარგებლობის შედეგად ბანკის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისთვის;
 - 6.24.3. დამდგარი ზიანისთვის, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, წვდომის კოდი ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური ბარათ(ებ)ისა და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისთვის;
 - 6.24.4. ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;
 - 6.24.5. ბარათის და/ან წვდომის კოდის გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის ოპერაციაზე;
 - 6.24.6. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ზიანი, რომელიც წარმოიქმნება ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;
 - 6.25. ბანკი პასუხისმგებელია:
 - 6.25.1. კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორესა და დროულობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
 - 6.25.2. ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. eMoney ელექტრონული ანგარიში

7.1. eMoney ელექტრონული ანგარიშით მომსახურება წარმოადგენს ბანკის და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და

eMoney-ს კლიენტს ეძლევა საშუალება სმარტული ანგარიშის ქვეანგარიშის სახით იქონიოს eMoney ელექტრონული ანგარიში კონკრეტული მომენტის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ ანგარიშზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და პრობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები.

7.2. eMoney ანგარიშის გასახსნელად კლიენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია eMoney ვებ-გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის პროცესი. რეგისტრაციის პროცესში, ანგარიშის გასახსნელად კლიენტი ვალდებულია დაეთანხმოს eMoney ანგარიშის გამოყენების პირობებს.

7.3. eMoney ანგარიშის მომსახურების პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი eMoney ანგარიშის მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე - www.emoney.ge და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

7.4. ბანკი იტოვებს უფლებას, რომ ცალმხრივად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად შეაჩეროს eMoney ანგარიშის (ან eMoney ანგარიშის ნებისმიერი ცალკეული ფუნქცია ან ფუნქციები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბალანსის შევსებას, თანხების მიღებას ან/და თანხების განაღდებას) მომსახურებას, იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია(ები) ბანკის ან/და eMoney-ს შეხედულებით ჩაითვლება, რომ (i) განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან/და (ii) არის საკვყო და დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, თაღლითობასთან ან/და სხვა უკანონო საქმიანობასთან. ბანკი ან/და eMoney შეეცდება შეაჩეროს მერჩანტს ასეთი მომსახურების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ, თუ მათ ასეთი შეტყობინების მიწოდება აკრძალული არ აქვთ კანონმდებლობით, სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტით.

8. ელექტრონული არხებით მომსახურება

8.1. ელექტრონული არხებით მომსახურება წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისთვის, მის მიერ სმარტული სარგებლობისას შეთავაზებულ ელექტრონული მომსახურების სახეს, რომელიც შეზღუდვის გარეშე მოიცავს შემდეგი სახის სერვისებს: ა) ტრანზაქცია(ებ)ის განხორციელებას SMS შეტყობინების ან/და USSD მენიუს საშუალებით; ბ) ტრანზაქცია(ებ)ის განხორციელებას სმარტული მობილური აპლიკაციის საშუალებით ან/და გ) ტრანზაქცია(ებ)ის განხორციელებას სოციალური ქსელ Facebook-ზე არსებული აპლიკაციის საშუალებით.

8.2. ელექტრონული არხებით მომსახურებისთვის ბანკი უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საკომისიო მომსახურების ტარიფების და პირობების შესაბამისად.

8.3. ელექტრონული არხებით მომსახურების გამოყენებისთვის, კლიენტს უნდა გააჩნდეს მობილური ტელეფონი და შესაბამისი სატელეფონო ნომერი, რომლის მემუნიტითაც იგი გააგზავნოს საგადახდო დავალებებს ან/და მიიღებს ინფორმაციას.

8.4. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკისთვის მიწოდებული ტელეფონის ნომერი კლიენტის მფლობელობაშია და თუ კლიენტი არ შეატყობინებს ბანკს ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული ტელეფონიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ გაგზავნილი/მიღებულად.

8.5. კლიენტი აცხადებს და თანხმობას იძლევა, რომ მის მიერ წინამდებარე მუხლში აღნიშნული არხებით ბანკისათვის საგადახდო დავალების გაგზავნა განიხილება კლიენტის მიერ ელექტრონულ საგადახდო დავალებაზე ხელმოწერად და შესაბამისად ბანკი უფლებამოსილი იქნება შეასრულოს კლიენტის მიცემული საგადახდო დავალება ან/და სხვა ტრანზაქცია კლიენტის შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე.

8.6. კლიენტი ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ტელეფონის ნომრის ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, კლიენტის მიერ ტელეფონის მფლობელობის გაუქმების ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიერ კლიენტისთვის ელექტრონული არხებით მომსახურების მიწოდებაზე.

8.7. კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს მესამე პირებისთვის ტრანზაქცია(ებ)ის გამოუთხოვადი შეთავაზება, რა შემთხვევაშიც ბანკს უფლება აქვს მოახდინოს შეთავაზებული ტრანზაქცია(ებ)ის თანხ(ებ)ის დაბლოკვა ან/და ჩამოჭრა კლიენტის სმარტული ანგარიშიდან.

8.8. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს შეასრულოს მის მიერ მიცემული საგადახდო დავალებები ან/და დაამუშავოს ნებისმიერი ან/და ყველა ტრანზაქცია, მიიღოს ელექტრონული არხების მომსახურების საგადახდო ან გადაუხადოს თანხები მესამე მხარეებს, ისე, როგორც ამას მოითხოვს კლიენტი.

8.9. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ მიცემული დავალების შესასრულებლად მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ განახორციელოს დავალებები, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას ან/და გადაცემას.

8.10. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკს, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა გადალება, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა ტელეფონის მემუნიტით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.



კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკს შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.

8.11. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის დავალბა კლიენტის მხარეზე ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის ან/და კლიენტის მიერ ბანკისთვის არასწორი (წინამდებარე პირობებთან ან/და ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის პირობებთან შეუსაბამო) შეტყობინების გაგზავნის ან ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების არსებობის შემთხვევაში.

8.12. კლიენტი ვალდებულია საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის დავალბა SMS შეტყობინების, USSD მენიუს ან/და სმარტვი აპლიკაციის საშუალებით გაგზავნის ბანკის მიერ ვებ-გვერდით ან/და სხვა სახით გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი ფორმატით.

8.13. ბანკი იტოვებს უფლებას, კლიენტის ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე პერიოდულად განახორციელოს ელექტრონული არხებით მომსახურებაში ცვლილებები, გაუმჯობესოს ან/და შეცვალოს მისი პირობები.

8.14. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკი უფლებამოსილია ელექტრონული არხებით მომსახურებაზე კლიენტის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დააწესოს ნებისმიერი და ყველა სახის შეზღუდვა თუ ლიმიტი.

8.15. კლიენტის იდენტიფიკაცია
8.15.1. კლიენტის მიერ ელექტრონული არხებით მომსახურების განხორციელებისას კლიენტის იდენტიფიკაციის წესებს და პროცედურებს ადგენს ბანკი.

8.15.2. ელექტრონული არხებით სარგებლობისას კლიენტის იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ელექტრონული არხებით მომსახურებისას კლიენტის იდენტიფიცირება ხდება მის მიერ აუტენტიკაციის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს მისი (კლიენტის) ნამდვილობის დადგენის შემთხვევაში ისარგებლოს ელექტრონული არხების მომსახურებით. ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია ბანკის მიერ დადგენილი ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ითვლება სათანადოდ შესრულებულად კლიენტის მიერ და შესაბამისი სამართლებრივი ძალის მქონეა.

8.15.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დააწესოს დამატებითი მოთხოვნები კლიენტის იდენტიფიცირებისათვის.

8.15.4. კლიენტი ვალდებულია უსაფრთხოდ შეინახოს ელექტრონული არხებით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წვდომის კოდეტი. კლიენტს ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირისათვის.

8.15.5. ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობა.

8.15.6. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს, რის საფუძველზეც ბანკი მოახდენს კლიენტის ანგარიშზე ელექტრონული არხებით მომსახურების შეჩერებას.

8.16. პასუხისმგებლობა ელექტრონული არხებით სარგებლობისას
8.16.1. კლიენტი ნებისმიერ ვითარებაში თავად არის პასუხისმგებელი ბანკში ელექტრონული არხების საშუალებით გაგზავნილ დავალებებზე.

8.16.2. კლიენტი აცნობიერებს რისკს და თანხმდება, რომ ელექტრონული არხების საშუალებით გაგზავნილი საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის დავალბა არ არის უსაფრთხო და შესაბამისად არის ელექტრონული არხების სისტემაში მესამე პირების უკანონო შეღწევის რისკი, რასაც შესაძლებელია მოყვას ზიანი, რაზეც კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი.

8.16.3. ბანკი დაეყრდნობა კლიენტისგან SMS შეტყობინებით, USSD მენიუს და სმარტვი აპლიკაციის საშუალებით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ დავალებას და ბანკი არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამოგზავნის პირობებზე ან გამოგზავნილი დავალების ნამდვილობა. კლიენტი არანაირ ვითარებაში არ შეედავება ბანკს იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ დავალებებს. კლიენტი პასუხისმგებელია ტელეფონის არავტორიზებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან.

8.16.4. ბანკი არ აცხადებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და კლიენტისთვის ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება ფიქური კავშირგაბმულობის ქსელის მიწოდებელი კომპანია. ასევე არ არის პასუხისმგებელი კლიენტსა და აღნიშნულ ფიქური კავშირგაბმულობის ქსელის მიწოდებელს შორის წარმოშობილ სადაო სიტუაციაზე.

8.16.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, ბანკის ელექტრონულ არხებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით.

8.16.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული არხების სისტემის ფუნქციონირებაზე.

8.16.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი მობილური ტელეფონის, ქსელის ან ტელეფონის პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

8.16.8. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ზიანზე, რომელიც მიადგა კლიენტის მონაცემებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, მობილურ ტელეფონს, ტელეკომუნიკაციებს ან სხვა მოწყობილობებს და რაც გამოწვეულია კლიენტის მიერ ელექტრონული არხებით სარგებლობისას.

8.16.9. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ: ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის დავალებ(ებ); კლიენტმა ბანკს მიაწვია არასწორი ან არასრული ინფორმაცია.

8.16.10. ბანკი არ არის პასუხისმგებელი რაიმე ელექტრონულ ვირუსზე ან ვირუსებზე, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს კლიენტის მობილურ ტელეფონს.

8.16.11. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ კლიენტის სმარტვი ანგარიშზე არსებული თანხები ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვას.

9. სმარტვი კონსიერჟი

9.1. სმარტვი კონსიერჟი წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებულ ავტომატიზირებული მომსახურების სახეს, რომელიც მოიცავს ორი სახის სერვისს (ოფიციალ): ა) სმარტვი ანგარიშიდან ავტომატურ გადახდებს და ბ) მოკლე ტექსტური შეტყობინებით გადახდის ვალდებულების შეხსენების (SMS შეხსენება) სერვისს.

9.2. სმარტვი კონსიერჟის მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია კლიენტის მიერ ვებ-გვერდის ან/და ბანკის ნებისმიერი ფილიალის/სერვის-ცენტრის საშუალებით.

9.3. სმარტვი კონსიერჟის მომსახურებისათვის ბანკი უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საკომისიო მომსახურების ტარიფების და პირობების შესაბამისად.

9.4. ბანკი უფლებამოსილია სმარტვი კონსიერჟის მომსახურების საკომისიო დააწესოს როგორც ინდივიდუალურად ცალკეული პროვაიდერ(ებ)ისათვის, ასევე ერთობლივად კალათ(ებ)ისთვის.

10. სმარტვი ანგარიშიდან ავტომატური გადახდები

10.1. ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის სმარტვი ანგარიშიდან პროვაიდერ(ებ)ის მომსახურების საფასურის გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე. კლიენტის განაცხადში მითითებული ინფორმაციის და კლიენტის სმარტვი ანგარიშზე დავალიანების შემოწმების საფუძველზე.

10.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და სმარტვი ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

10.3. ბანკი უფლებამოსილია:
10.3.1. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კლიენტის სმარტვი ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
10.3.2. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას.

11. SMS შეხსენება

11.1. SMS შეხსენება წარმოადგენს სმარტვის მომსახურებას, რომლითაც კლიენტის განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ბანკი აცნობებს კლიენტს არსებული პროვაიდერ(ებ)ის მიმართ კომუნალური, საკომუნიკაციო ან/და სხვა სახის დავალიანების არსებობის და გადახდის ვალდებულების შესახებ;

11.2. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დავიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია ბანკისგან დამოუკიდებელი, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ტექნიკური, მიზნულების გამო.

11.3. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად სმარტვი კონსიერჟის მომსახურებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობაზე ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

11.4. კლიენტი უფლებამოსილია ვებ-გვერდის ან/და ბანკის ფილიალის/სერვის-ცენტრის საშუალებით გააქციოს და შემდგომ თავიდან გააქტიუროს სმარტვი კონსიერჟის მომსახურება.

11.5. სმარტვი კონსიერჟის მომსახურების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გადახდილი სმარტვი კონსიერჟის მომსახურების საკომისიო მომსახურების ტარიფებისა და პირობების შესაბამისად.

12. @smartivi.ge ელექტრონული საფოსტო მომსახურება

12.1. ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის მიერ ინტერნეტით, SMTP, POP3 და IMAP4 პროტოკოლების გამოყენებით ელექტრონული ფოსტის მიღების და გაგზავნის საშუალებას და ელექტრონული ფოსტით სარგებლობას ვებ-ბრაუზერის საშუალებით. ბანკი არ არის ვალდებული და შესაბამისად პასუხისმგებელი კლიენტის ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფით.



12.2. კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ რეგისტრაციის პროცესში მის შესახებ მითითებული ინფორმაცია არის ნამდვილი, სრული და ზუსტი. კლიენტის მიერ არასრული, დაუზუსტებელი ან/და ტყუილი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს კლიენტის მიერ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობის უფლება.

12.3. ბანკი არ ახორციელებს ელექტრონული გზავნილის და მასთან დაკავშირებული ელექტრონული ფაილის შინაარსის მონიტორინგს, ცენზურას ან/და მის შესწორებას. კლიენტი პასუხისმგებელია მათ მიერ გაგზავნილი ელექტრონული საფოსტო გზავნილის და მასთან დაკავშირებული ელექტრონული ფაილის შინაარსზე.

12.4. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს კლიენტისთვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დააწესოს ნებისმიერი და ყველა სახის შეზღუდვა და ლიმიტი @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობაზე.

12.5. თუ სხვაგვარი შეთანხმება არ იქნა, კლიენტი არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს ბანკის ან/და მისი რომელიმე შვილობილი ან/და მონათესავე საწარმოს ან/და მათ ცალკეული პროდუქტის თუ მომსახურების აღნიშვნელი სასაქონლო ნიშანი, ლოგო, დომენის სახელწოდება და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ნიშნები.

12.6. კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ იგი არ გამოიყენებს @smartivi.ge ელექტრონული ფოსტის კომერციული რეკლამის, აგიტაციის, რელიგიური ან/და პოლიტიკური იდეების პროპაგანდისტების; არ გამოიყენებს ელექტრონულ ფოსტის ისეთი გზავნილის გასაგზავნად, რომელიც წარმოადგენს მუქარას ან/და შეიძლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს ან/და სხვაგვარად არღვევს საქართველოს ან/და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ასევე ისეთი გზავნილის გასაგზავნად ან/და მისაღებად, რომელიც შეიცავს ვირუსს ან/და სხვა პროგრამულად სამშობი ელექტრონულ ინფორმაციას.

12.7. კლიენტი ვალდებულია სათანადო უფლებამოსილების გარეშე არ გამოიყენოს @smartivi.ge ელექტრონული ფოსტა ისეთი დოკუმენტის ან/და ელექტრონული ფაილის გადასაცემად ან/და მისაღებად, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით, შეიცავს სავაჭრო საიდუმლოებას ან წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს.

12.8. კლიენტი ვალდებულია @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას არ განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

12.8.1. არა გაგზავნოს სპამი - მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისთვის განკუთვნილი მასიური ან/და პერსონალიზირებული შეტყობინება, რომელიც არ არის მითხოვნილი სპამის ადრესატის მიერ და მისი მიღება არ არის დამოკიდებული ადრესატის სურვილზე.

12.8.2. არ გაგზავნოს, ატვირთოს, გაავრცელოს ან/და სხვაგვარად შესთავაზოს შეურაცხყოფილი ან/და უცენზურო შინაარსის მქონე, თაღლითური ან/და სხვაგვარად მიუღებელი ინფორმაცია ან/და მონაცემი.

12.8.3. არ გაავრცელოს კომპიუტერული ვირუსები ან/და სხვაგვარად დევექტის მქონე და დაზიანებული ფაილები ან მონაცემები, რომელმაც შესაძლოა ზიანი გამოიწვიოს.

12.8.4. არ გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია ან/და მონაცემები, რომელიც დაუშვებელია და საზიანოა არასრულწლოვანთათვის.

12.8.5. არ გამოიყენოს სხვისი სახელი და მონაცემები.

12.8.6. უკანონოდ, ნებართვის გარეშე არ გადასცეს ან სხვაგვარად არ გამოიყენოს სხვისი ინტელექტუალური საკუთრება.

12.8.7. არ მოახდინოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების წაქეზება.

12.8.8. @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით საშუალებით არ განახორციელოს არალეგალური საქმიანობა.

12.9. ბანკი იტოვებს უფლებას, რაზედაც კლიენტი წინასწარ აცხადებს უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას, შეაჩეროს ან/და გააუქმოს კლიენტის ელექტრონული ფოსტა, კლიენტის მიერ ზემოთაღნიშნული რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში.

12.10. კლიენტი პასუხისმგებელია საკუთარი საფოსტო ანგარიშის კონფიდენციალურობაზე. იგი ვალდებულია არ გადასცეს შეინახოს თავისი პაროლი და არ გადასცეს იგი სხვა მესამე პირებს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დააფიქსირებს მის ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებულ შეღწევას ან/და ელექტრონული ფოსტის არაავტორიზებულ გამოყენებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს და აცნობოს აღნიშნულის შესახებ.

12.11. ბანკი უფლებას იტოვებს, საკუთარი შეხედულებისამებრ და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობასთან დაკავშირებულ ფუნქციური და ოპერაციული გამოყენების სპეციფიკაციებში.

12.12. ბანკი უფლებას იტოვებს, კლიენტის მიერ რეგისტრაციას არასრული ან/და არასწორი სარეგისტრაციო მონაცემების მიწოდების შემთხვევაში შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს კლიენტის ელექტრონული ფოსტა.

12.13. პასუხისმგებლობა @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას

12.13.1. კლიენტი აცნობიერებს რისკს, რომ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

12.13.2. კლიენტი პასუხისმგებელია @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობის დროს მის მიერ გაგზავნილი და მიღებული ელექტრონული საფოსტო გზავნილის შინაარსზე და მის კანონიერებაზე.

12.13.3. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტისთვის მის ან/და სხვა მესამე პირების მიერ მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისათვის გაგზავნილი საფოსტო გზავნილის შინაარსზე და ასევე იმ პროდუქტისაზე და მომსახურებაზე რომელსაც მესამე პირები სთავაზობენ კლიენტს.

12.13.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

12.13.5. გარდა ამისა, ბანკი პასუხს არ აგებს არანაირ არასასურველ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობის დროს მოკლე ან ხანგრძლივად წყვეტებმა, დაყოვნებებმა ან ინტერნეტის შეფერხებით მუშაობამ ელექტრონული ფოსტის გამოშვების, სატელეფონო ხაზის გაუმართაობის ან/და დაზიანების, ინტერნეტის შეფერხებით მუშაობის ან/და ბანკის კონტროლს გარეთ მყოფი გარემოებების შედეგად.

12.13.6. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ან/და მონაცემი რომელიც ჩამოტვირთულია ან/და სხვაგვარად არის მოპოვებული @smartivi.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით და რომლის გამოყენებამ ან/და გამოუყენებლობამ გამოიწვია კლიენტის კომპიუტერული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის ზიანი, კლიენტის რაიმე მონაცემის ან/და ინფორმაციის დაკარგვა, წაშლა ან/და დაზიანება წარმოადგენს კლიენტის რისკს და პასუხისმგებლობას და შესაბამისად ბანკი თავისუფლდება ნებისმიერი და ყველა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, რომელიც მიადგა კლიენტს ზემოთაღნიშნული გარემოებების დადგომით.

12.13.7. კლიენტი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ პროდუქტისაზე ან/და მომსახურებაზე, რომელიც კლიენტის მიერ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით გამოიყენებით იქნა შეძენილი ან/და სხვაგვარად მიღებული.

12.13.8. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით გამოყენებისას ელექტრონული საფოსტო გზავნილის წაშლის ან/და მისი შეუნახავობისთვის.

13. სმარტივი მომსახურების ტარიფები და პირობები

13.1. სმარტივი ბარათის დამზადების და სმარტივის მომსახურების ტარიფები და სხვა პირობები განისაზღვრება #1 დანართის სახით, ხოლო ბრენდირებული სმარტივი ბარათის დამზადების და მომსახურების ტარიფები #2 დანართით. დანართები წარმოადგენს წინამდებარე პირობებისა და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი ტარიფები და პირობები. ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში, ბარათის მფლობელს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალის (მათ შორის ვებ-გვერდის) საშუალებით.

13.3. სმარტივით მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ ყოველთვიურად ან/და წინასწარ ყოველწლიურად.

13.4. წინასწარ ყოველთვიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში საკომისიოს გადახდა ავტომატურად განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვში;

13.5. წინასწარ ყოველწლიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში პირველი გადახდა ხდება სმარტივის შექმნის დღეს და მოქმედებს ერთი წლის ვადით. ერთი წლის შემდეგ საკომისიოს გადახდის სქემა ავტომატურად შეიცვლება ყოველთვიურად.

13.6. კლიენტს სმარტივით მომსახურების ტარიფების ყოველთვიური გადახდის სქემით სარგებლობის შემთხვევაში უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს გადახდის სქემა და ისარგებლოს მომსახურების ტარიფების ყოველწლიური გადახდის სქემით.

13.7. კლიენტის მიერ სმარტივით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მის მიერ შეწყვეტის მომენტისთვის გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.

13.8. კლიენტის მიერ სმარტივით მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობა ბანკს ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი და ყველა მომსახურება.

13.9. თუ სმარტივის მომსახურების ტარიფების (საკომისიო) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, ბანკი მომსახურების ტარიფების ჩამოწერას განახორციელებს კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.

13.10. სმარტივის ყოველთვიური საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საკომისიოს აკუმულირება დავალიანების სახით, რომლის დაფარვაც მოხდება კლიენტის სმარტივი ანგარიშიდან ან კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უაქცეპტო წესით თანხის ჩამოწერის გზით მასზე ხელმომსახურების სახით გაჩენისთანავე.

13.11. სმარტივის მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ კლიენტს მიმდინარე თვიდან აღუდგება საკომისიოს დარიცხვა მის მიერ უკვე არჩეული გადახდის მეთოდის შესაბამისად.

13.12. სმარტივის მომსახურების საკომისიო(ებ)ის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დავალიანების აკუმულირება.



13.13. ბანკი უფლებამოსილია ბარათიდან ან კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უპეკეტო წესით ჩამოწეროს საბანკო ოპერაციების წარმოების და სმარტის მომსახურების საკომისიო ან/და სხვა ტარიფები.

14. სმარტი ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკი პირობებისა და ტარიფების გათვალისწინებით კლიენტის სმარტი ანგარიშზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებულ დადებით ნაშთზე დაარიცხავს საპროცენტო სარგებელს.

14.2. სმარტი ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით წინამდებარე პირობების შესაბამისად.

14.3. სმარტი ანგარიშზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის სმარტი ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო საბანკო დღიდან.

14.4. სმარტი ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ოდენობა განისაზღვრება სმარტი მომსახურების ტარიფებით და პირობებით, რომელიც დანართის სახით ერთვს წინამდებარე პირობებს.

14.5. სმარტი ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია განხორციელდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს.

14.6. თუ საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაციის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, თანხის კაპიტალიზაცია განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

14.7. ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ან/და სმარტი ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის მეთოდი, რის შესახებაც ბანკი ცვლილებამდე 1 (ერთი) კალენდარული დღით ადრე შეატყობინებს კლიენტს თავისი საინფორმაციო არხების მეშვეობით.

14.8. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების შესრულების მიზნით, კლიენტის შემდგომი თანხმობის ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უპეკეტო წესით ჩამოწეროს თანხები სმარტი ანგარიშიდან ან/და კლიენტის ბანკში არსებული სხვა ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან.

15. პასუხისმგებლობა

15.1. კლიენტი პასუხისმგებელია ნებისმიერი პირის მიერ ბარათით განხორციელებულ ყოველგვარ ოპერაციაზე.

15.2. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია:

15.2.1. კლიენტის მიერ განაცხადით და/ან წინამდებარე პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევით.

15.2.2. კლიენტის ან მისი ქონების მიმართ სასამართლო, აღმასრულებელი ან/და საგადასახად ორგანოების მოთხოვნების ან/და შეზღუდვების დაწესებით.

15.3. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ბარათის დაკარგვისა და მისი არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე.

15.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან მუსრულბელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საგადასახადო ან სხვა სისტემის ტექნიკური მიზეზებით.

15.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

15.6. კლიენტი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ ბანკი არ არის პასუხისმგებელი და შესაბამისად არც ერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული დაუბრუნოს კლიენტს ჩარჯბეკის ან/და გაუქმების ოპერაციის თანხები.

15.7. ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის არც ერთ იმ ტრანზაქციაზე, რომელიც არ დასრულებულა ბანკის მიერ კლიენტის სმარტი ანგარიშის დაბლოკვის გამო.

15.8. კლიენტი აცხადებს თანხმობას რისკს, რომ ვებ-გვერდით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

15.9. სმარტის განაცხადზე ხელმოწერით კლიენტი აცხადებს ცალსახა და უპირობო თანხმობას, ნებისმიერ დროს, ბანკის მიერ შემდგომი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერი მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისთვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერ სახის სარეკლამო კამპანიას ან/და პრომო აქციას) ბანკისგან ან/და სხვა პირებისგან მიიღოს ცნობა, წერილი, მოკლე ტექსტური ან ნებისმიერი სხვა შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია, კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, ზემოთაღნიშნული რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილ რეკვიზიტებთან მიმართებაში ბანკი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება კლიენტის ყოველგვარი შემდგომი თანხმობის გარეშე.

15.10. ბანკი უფლებამოსილია, რომ სმარტის პროდუქტის მიმართებაში კლიენტისთვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს პრომო კამპანიები,

გათამაშებები და აქციები, ბარათის პირობებზე თუ ტარიფებზე კლიენტისთვის დროებითი თუ მუდმივი სასაბანკო შეღავათიანი პირობების დაწესებით ან/და სარგებლის მიღების შესაძლებლობით. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად დააწესოს და განსაზღვროს ნებისმიერი და ყველა წესი ან/და პირობა რაც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების ორგანიზებასთან, ჩატარებასთან და პროცესთან, რაც ავტომატურად წარმოადგენს წინამდებარე პირობების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს, ასევე დამოუკიდებლად განსაზღვროს ასეთი პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების გამარჯვებულის გამოვლენის წესი და პირობები, დამოუკიდებლად განსაზღვროს პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების შედეგად გამარჯვებულ მოგების გაცემის საკითხი და არ გასცეს პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების პირობებით გათვალისწინებული მოგება ან/და სარგებელი ან/და არ დააწესოს ასეთი შეღავათი კლიენტის მიერ ზემოთ აღნიშნული პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციებისთვის ბანკის მიერ დადგენილი წესები და პირობების ბოროტად, არამიზნობრივად, მიზნების საწინააღმდეგოდ გამოყენების შემთხვევაში. კლიენტის მიერ ასეთი აქციების დროს სმარტივით სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების წესებზე და პირობებზე.

15.11. კლიენტი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ნებისმიერი ზიანისგან, სასამართლო ხარჯისგან, ბარათის მფლობელის ან მესამე მხარის მიერ წამოწყებული საჩივრისგან, ნებისმიერი სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და ადინისტრაციული საქმისწარმოებისაგან. ამასთან, კლიენტი დაიცავს და აუნაზღაურებს ბანკს ბარათის გამოყენების შედეგად ბანკისთვის მიყენებულ ყველა და ნებისმიერი ზიანს.

16. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე პირობები ძალაში შედის კლიენტის მიერ შესაბამისი (სმარტის) განაცხადის შევსების და ხელმოწერით წინამდებარე პირობებზე თანხმობის განცხადების შემდეგ.

16.2. ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში, ბანკი კლიენტს გაუზღავნის შესაბამის შეტყობინებას, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

16.3. ბანკი უფლებამოსილია სმარტი ანგარიშზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში დადებითი ნაშთის და ბრუნვის არარსებობის შემთხვევაში დახუროს ანგარიში კლიენტის ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე.

17. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

17.1. კონფიდენციალურობა
17.1.1. მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას, დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის (პირობების) საიდუმლოება, გარდა წინამდებარე პირობებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

17.2. პირადი ინფორმაციის გამოყენება

17.2.1. ბანკს უფლება აქვს გადასცეს ან/და გაუმყავნოს ბანკის ხელთ არსებული ინფორმაცია კლიენტის შესახებ, კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ კლიენტის მიერ ნებადართულ პირებს, ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს, ბანკის მომწოდებლებს.

17.2.2. ბანკს უფლება აქვს, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას, გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის მიერ სმარტივით სარგებლობის შესახებ და გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია ბანკის შვილობილ, მონათესავე ან სხვა ნებისმიერ პირებს მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემთავაზებების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია ბანკის მიერ მოპოვებული იქნება სხვადასხვა წარმოებიდან, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის მიერ შევსებულ განაცხად(ებ)ს, კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაცი(ებ)იდან, გამოკითხვ(ებ)იდან და კვლევ(ებ)იდან (რომელიც მოიცავს კლიენტთან დაკავშირებას ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტით, ტელეფონით ან სხვა საშუალებით), და ასევე სხვა გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს და მარკეტინგულ ორგანიზაციებს.

17.2.3. ბანკის მიერ წინამდებარე მუხლში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიზნებს და ინტერესებს, მაგრამ არანაკლებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებისა. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში მოაწვდის კლიენტს მის შესახებ ბანკში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე ბანკს ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.
17.2.4. თუ კლიენტი თვლის, რომ კლიენტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ.

18. მარკეტულირებული კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

18.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.



18.3. თუ მხარეები 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს ბანკის ორდინული მისამართის მიხედვით.

19. ფორს-მაჟორი

19.1. არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, არადროულად ან/და არასათანადოდ შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა, არასათანადო ან არადროულად შესრულება განპირობებულია დაუძლეველი ძალის გარემოებითა (ფორს-მაჟორული გარემოებები) დადგომის ან/და მოქმედების შედეგად.

19.2. დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს საგანგებო ხასიათის მქონე მოვლენებს, რომლებიც წარმოიქმნა წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ, მხარეთა (მხარის) ნების გარეშე, ასევე სტიქიური მოვლენები და კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტები და გადაწყვეტილებები, და ა.შ., რაც შეუძლებელს ხდის მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

19.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებათა დადგომის შესახებ და მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად. ანალოგიური მოთხოვნები ვრცელდება აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოებებისა და მათი შედეგების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაზეც.

19.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ამგვარი გარემოებით შეფერხებული ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულება გადაიწვევს ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ვადით.

20. დასკვნითი დებულებები

20.1. კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს წინასწარი შეტყობინების გარეშე.

20.2. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების ოურიდიულ ძალაზე.

20.3. წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მიხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

20.4. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს ბანკის საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის ბანკის ან/და ვებ-გვერდი სმარტის-ს მეშვეობით.

20.5. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

20.6. კლიენტის მიერ ბანკიდან ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

20.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ელექტრონულ ფოსტას, მობილური ტელეფონის და ფაქსის ნომერს) ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც კლიენტის მიერ წინასწარ არის მითითებული.

20.8. კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება ბანკის მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

20.9. ბანკის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება არ ნიშნავს იმას, რომ ბანკი უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე, ბანკის ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას.

20.10. წინამდებარე პირობებს ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

20.11. პირობები სავალდებულო იქნება და შესაბამისი ოურიდიული ძალა ექნება მხარეების შესაბამისი მემკვიდრეების და უფლებამონაცვლეების მიმართ.

20.12. პირობები შედგენილია ქართულ ენაზე.

დანართი #1 - მომსახურების პირობები და ტარიფები

სმარტივი	სტანდარტული სმარტივი ბარათი	პრემიალური სმარტივი ბარათი
სმარტივი სახელი (Nickname)	სიმბოლოებისა და ციფრების ნებისმიერი კომბინაცია	სიმბოლოებისა და ციფრების ნებისმიერი კომბინაცია
სმარტივით სარგებლობა		
ერთჯერადი გადახდა სმარტივი ბარათით (თითო პროვაიდერი)		
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში ¹	0.25 ლარი ²	0.25 ლარი ²
ვებ-გვერდით www.smartivi.ge	0.25 ლარი ²	0.25 ლარი ²
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	0.25 ლარი ²	0.25 ლარი ²
გადახდა სმარტივი კალათის მეშვეობით		
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	უფასო ³	უფასო
ვებ-გვერდით www.smartivi.ge ^{****}	უფასო ³	უფასო
სმარტივი კალათა		
კალათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	თითო კალათა - 0.50 ლარი	ნებისმიერი რაოდენობა - უფასო
კალათის მომსახურების ერთი წლის საკომისიო წინასწარ გადახდით	თითო კალათა - 5 ლარი	ნებისმიერი რაოდენობა - უფასო
კალათების მაქსიმალური რაოდენობა	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
პროვაიდერების რაოდენობა თითო კალათაში	7 ⁵	10
სმარტივი კონსიერჟი		
მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	0.50 ლარი	უფასო
სმარტივი ბარათით სარგებლობა		
ბარათის ტიპი	ლოკალური საბანკო ბარათი	ლოკალური საბანკო ბარათი
ბარათის მოქმედების ვადა	10 წელი ⁶	10 წელი ⁶
ანგარიშის ვალუტა	ლარი, აშშ დოლარი, ევრო	ლარი, აშშ დოლარი, ევრო
ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	უფასო	3.00 ლარი
ბარათის მომსახურების ერთი წლის საკომისიო წინასწარ გადახდით	უფასო	30 ლარი
ეროვნული ვალუტის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	3%, მინიმუმ 0.50 ლარი	1%, მინიმუმ 0.50 ლარი
აშშ დოლარის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	3%, მინიმუმ 0.50 დოლარი	1%, მინიმუმ 0.50 დოლარი
ევროს გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	3%, მინიმუმ 0.50 ევრო	1%, მინიმუმ 0.50 ევრო
ეროვნული ვალუტის გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	1%, მინიმუმ 0.50 ლარი	უფასო
დოლარის გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	1%, მინიმუმ 0.50 დოლარი	უფასო
ევროს გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	1%, მინიმუმ 0.50 ევრო	უფასო
ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	უფასო	უფასო
თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ბარათზე ბანკომატის მეშვეობით	უფასო	უფასო
თანხის გადარიცხვა სხვა სმარტივზე სმს-ის მეშვეობით	უფასო ⁷	უფასო ⁷
თანხის გადარიცხვა სხვა სმარტივზე Facebook აპლიკაციის მეშვეობით	უფასო ⁷	უფასო ⁷
თანხის გადარიცხვა სხვა სმარტივზე ვებ-გვერდის www.smartivi.ge მეშვეობით	უფასო ⁷	უფასო ⁷
თანხის გადარიცხვა სმარტივთან დაკავშირებულ eMoney ანგარიშზე	უფასო	უფასო
ნებისმიერი ვალუტის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ანგარიშებზე	უფასო	უფასო
თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.07% მინიმუმ 1 ლარი	0.07% მინიმუმ 1 ლარი
თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.5%, მინიმუმ 20, მაქსიმუმ 500 დოლარი	0.5%, მინიმუმ 20, მაქსიმუმ 500 დოლარი
თანხის გადარიცხვა ევროში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.5%, მინიმუმ 20, მაქსიმუმ 500 ევრო	0.5%, მინიმუმ 20, მაქსიმუმ 500 ევრო
ეროვნული ვალუტის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ანგარიშებზე P2P-ის მეშვეობით	1%	1%
აშშ დოლარის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ანგარიშებზე P2P-ის მეშვეობით	1%	1%
ევროს გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ანგარიშებზე P2P-ის მეშვეობით	1%	1%
ვალუტის პრიორიტეტულობის შეცვლა	10 ლარი	10 ლარი
ნაშთის/ოვერდრაფტის პრიორიტეტულობის შეცვლა	10 ლარი	10 ლარი
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა	უფასო	უფასო
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის საჯარიმო პროცენტი	წლიური 32.00%, გადახარჯვის ყოველ დღეზე	წლიური 32.00%, გადახარჯვის ყოველ დღეზე
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა	უფასო	უფასო
ვადაგასული ბარათის აღდგენა	უფასო	უფასო
სმარტივი ანგარიშზე ჩარიცხული თანხის მიღება		
ჩარიცხული თანხის მიღება სხვა სმარტივიდან სმს-ის მეშვეობით	ჩარიცხული თანხის 1.00%	ჩარიცხული თანხის 1.00%
ჩარიცხული თანხის მიღება სხვა სმარტივიდან Facebook აპლიკაციის მეშვეობით	ჩარიცხული თანხის 1.00%	ჩარიცხული თანხის 1.00%
ჩარიცხული თანხის მიღება სხვა სმარტივიდან ვებ-გვერდის www.smartivi.ge მეშვეობით	ჩარიცხული თანხის 1.00%	ჩარიცხული თანხის 1.00%
სმარტივი ანგარიშის შეცვლა		
ლიბერთი ქარდით	უფასო	უფასო
მომენტალური გადახდის აპარატით (Paybox)	უფასო	უფასო
სხვა ბანკის VISA ტიპის საბანკო ბარათით	უფასო	უფასო
ბალანსის ავტომატური შეცვლის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	0.50 ლარი	უფასო



სმარტივთან დაკავშირებული eMoney ანგარიშიდან	უფასო	უფასო
Smartpay – ტარიფები		
სმარტივი კალათაში არსებული კომუნალური ან/და სხვა გადასახადის დავალიანების მთლიანად გადახდა	30 თეთრი (10 თეთრი იჭრება სმარტივის ანგარიშიდან და 20 თეთრი კლიენტის მობილურის ბალანსიდან გადახდის განხორციელებისას)	30 თეთრი (10 თეთრი იჭრება სმარტივის ანგარიშიდან და 20 თეთრი კლიენტის მობილურის ბალანსიდან გადახდის განხორციელებისას)
სმარტივი ბალანსის შემოწმება	უფასო	უფასო
თანხის გადარიცხვა სხვა სმარტივი ანგარიშზე	20 თეთრი იჭრება კლიენტის მობილურის ბალანსიდან გადარიცხვის განხორციელებისას	20 თეთრი იჭრება კლიენტის მობილურის ბალანსიდან გადარიცხვის განხორციელებისას
სმარტივი ბალანსის შევსება eMoney-ის ანგარიშიდან ⁵	უფასო	უფასო
eMoney-ის ბალანსის შევსება სმარტივი ანგარიშიდან	უფასო	უფასო
სმარტივი ანგარიშიდან საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრის ბალანსის შევსება	უფასო	უფასო
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო	უფასო	უფასო
თანხის გატანის და ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი		
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	1,500 ლარი	3,000 ლარი
სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	10,000 ლარი	20,000 ლარი
სმს-ით P2P გადარიცხვის მაქსიმალური დღიური ლიმიტი	500 ლარი	500 ლარი
Facebook აპლიკაციით P2P გადარიცხვის მაქსიმალური დღიური ლიმიტი	500 ლარი	500 ლარი
ვებ-გვერდით www.smartivi.ge P2P გადარიცხვის მაქსიმალური დღიური ლიმიტი	500 ლარი	500 ლარი
საპროცენტო სარგებელი		
საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად დარიცხვა	წლიური 5.00%	წლიური 10.00%
სარგებლის მიღება მეგობრ(ებ)ის მოწვევის შემთხვევაში აგენტების სისტემის მეშვეობით		
მეგობრის მოწვევა ელ. ფოსტის მეშვეობით ⁶	1.00 ლარი მეგობრის მიერ შექმნილ თითო კალათაზე	1.00 ლარი მეგობრის მიერ შექმნილ თითო კალათაზე
მეგობრის მოწვევა სარეკლამო ბანერის მეშვეობით ^{6,7}	მეგობრის სმარტივი ანგარიშზე ყოველი განთავსებული თანხის 1.00%-ი	მეგობრის სმარტივი ანგარიშზე ყოველი განთავსებული თანხის 1.00%-ი
ლიბერთი ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს:		
1. შეცვალოს სმარტივის დანართ(ებ)ში განსაზღვრული პირობები ან/და ტარიფები;		
2. დაარეზერვოს მისთვის სასურველი სახელ(ებ)ი და განხორციელოს აღნიშნული სახელ(ებ)ის დისტრიბუცია მისი (ბანკის) შეხედულებისამებრ.		
¹ ტარიფი არ ვრცელდება ლიბერთი ბანკის იმ 25 სერვის ცენტრში, სადაც კომუნალური გადასახადების გადახდა შესაძლებელია უფასოდ.		
² რიგი კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა სახის გადასახადების გადახდა უფასოა (მაგალითად: თბილისის წყალი, დასუფთავების სამსახური, მაგთი, ჯგოსელი, ბალი და ა.შ.).		
³ პირობა ძალაშია 2014 წლის 1 იანვრამდე (ბანკის შეხედულებისამებრ პირობის მოქმედების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს).		
⁴ ნებისმიერი სხვა საბანკო ბარათით განხორციელებული გადახდის შემთხვევაში, ბანკის საკომისიო შეადგენს 0.50 ლარს თითო გადასახადზე.		
⁵ გარდა წინასწარ დაბეჭდილი სმარტივი ბარათის.		
⁶ ყოველთვიური სარგებლის ჯამური ოდენობა, თითოეულ მოწვეულ მეგობარზე, არ აღემატება 20.00 ლარს.		
⁷ სარგებლის ჩარიცხვა განხორციელდება კონკრეტული მეგობრის დარეგისტრირებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში.		
⁸ მხოლოდ გადამხდელ ანგარიშებს შორის.		

დანართი #2 - პარტნიორი ორგანიზაციისთვის ბრენდირებული Sმარტივი ბარათების მომსახურების პირობები და ტარიფები

პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება - შპს "მეკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი" (ს/კ 205034639)	
სახელი (Nickname)	
სიმბოლოებისა და ციფრების ნებისმიერი კომბინაცია	უფასო
Rico ბარათით სარგებლობა	
ერთჯერადი გადახდა Rico ბარათით (თითო მომსახურების პროვადერით)	
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში ¹	0.25 ლარი ²
ვებ-გვერდით www.smartivi.ge	
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	
გადახდა კალათის მეშვეობით	
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	უფასო ³
ვებ-გვერდით www.smartivi.ge	
კალათა	
კალათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	თითო კალათა - 0.50 ლარი
კალათის მომსახურების ერთი წლის საკომისიო წინასწარ გადახდით	თითო კალათა - 5.00 ლარი
კალათების მაქსიმალური რაოდენობა	შეუზღუდავი
პროვადერების რაოდენობა თითო კალათაში	7 ³
კონსიერჟი	
მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	0.50 ლარი
Rico ბარათით სარგებლობა	
ბარათის ტიპი	ლოკალური საბანკო ბარათი
ბარათის მოქმედების ვადა	10 ⁴ წელი
ანგარიშის ვალუტა	ეროვნული ვალუტა (ლარი), აშშ დოლარი, ევრო
ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	უფასო
თანხის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	0.50%
თანხის გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	0.50%
ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	უფასო
თანხის გადარიცხვა სხვა Sმარტივზე სმს-ის მეშვეობით	უფასო ⁵
თანხის გადარიცხვა სხვა Sმარტივზე Facebook აპლიკაციის მეშვეობით	უფასო ⁵
თანხის გადარიცხვა სხვა Sმარტივზე ვებ-გვერდის www.smartivi.ge მეშვეობით	უფასო ⁵
თანხის გადარიცხვა Sმარტივთან დაკავშირებულ eMoney ანგარიშზე	უფასო
თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში ან ევროში ლიბერთი ბანკის სხვა ანგარიშზე	უფასო
თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.07% მინიმუმ 1.00 ლარი
თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.50%, მინიმუმ 20, მაქსიმუმ 500 დოლარი
თანხის გადარიცხვა ევროში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.50%, მინიმუმ 20, მაქსიმუმ 500 ევრო
თანხის გადარიცხვა ეროვნული ვალუტაში, აშშ დოლარში ან ევროში ლიბერთი ბანკის სხვა ანგარიშზე ბანკომატის მეშვეობით (P2P სერვისი)	1.00%
ანგარიშის ვალუტის პრიორიტეტულობის / თანხების ხარჯვის სქემის შეცვლა	10 ლარი
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა	უფასო
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის საჯარიმო პროცენტი	წლიური 32.00%, გადახარჯვის ყოველ დღეზე
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა	უფასო ⁶
ვადამდებელი ბარათის აღდგენა	უფასო
ბარათის PIN-ის აღდგენა	უფასო
Rico ანგარიშზე ჩარიცხული თანხის მიღება	
ჩარიცხული თანხის მიღება სხვა Sმარტივიდან სმს-ის მეშვეობით	ჩარიცხული თანხის 1.00%
ჩარიცხული თანხის მიღება სხვა Sმარტივიდან Facebook აპლიკაციის მეშვეობით	
ჩარიცხული თანხის მიღება სხვა Sმარტივიდან ვებ-გვერდის www.smartivi.ge მეშვეობით	
Rico ანგარიშის შეესება	
ლიბერთი ქარდით	უფასო
ლიბერთი ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებში	უფასო
სხვა ბანკის VISA/Mastercard ტიპის საბანკო ბარათით	უფასო
eMoney ანგარიშიდან	უფასო
მომენტალური გადახდის აპარატით (Paybox)	უფასო
ბალანსის ავტომატური შევსების მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	0.50 ლარი
თანხის გატანის და ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი	
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	შეუზღუდავი
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	3,000 ლარი
სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	10,000 ლარი
სმს-ით P2P გადარიცხვის მაქსიმალური დღიური ლიმიტი	500 ლარი
Facebook აპლიკაციით P2P გადარიცხვის მაქსიმალური დღიური ლიმიტი	500 ლარი
ვებ-გვერდით www.smartivi.ge P2P გადარიცხვის მაქსიმალური დღიური ლიმიტი	500 ლარი